KA030175635034719

№ 01-928 **31 / იანვარი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 6-8 თებერვალს დანიაში ქ. კოპენჰაგენში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ბიუროს ორგანიზებით დაგეგმილია სიმპოზიუმის ჩატარება, ევროპის რეგიონში ჯანდაცვის დიგიტალური სისტემების მომავალთან დაკავშირებით.

აღნიშნულ სიმპოზიუმში მონაწილეობის მიღების მიზნით, მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ქეთევან გოგინაშვილი.

ვიზიტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ქეთევან გოგინაშვილისთვის 5 თებერვლიდან 9 თებერვლის ჩათვლით.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია